

დ რ თ ი რ ბ

ცურათაგრძიანი დამატება

გაზეთის № 231. კვირა, 18 ოქტომბერი 1909 წ. დამატების № 41.

ს ა ლ ი მ ე

დრამა ერთ მოქმედებად.

თხერ უალდისა.

(შემდგენ *)

2 ნაზარეველი. არა, კაპერნაუმში ორს უსინათლოს აუხილა თვალი...

1 ნაზარეველი. არა, ისინი კეთროვანნი იყვნენ. უსინათლონიც განკურნა. მთის მწერვალიდან იგი ანგელოზებს ელიაპარაკებოდა, — ეს თურმე უნახავთ...

სადუკეველი. ანგელოზები არ არსებობენ.

ფარისეველი. ანგელოზები-კი არიან, მაგრამ არა მგონია, რომ იმ კაცს მათთან ესაუბროს...

იროდია. რა რიგ მალიზიანებენ! სულელები არიან! სრულიად გამოჩერჩეტებულან... (ფარეში) აბა, ჩემი მარაო? (ფარეში მარაოს აწევის) თითქო ოცნებობთ... ოცნებობა საჭირო არ არის... ოცნებით გატაცებულნი — ავალმყოფი ხალხია... (ფარეში მარაოს გაარტყავს).

2 ნაზარეველი. იაირის ქალიც სასწაულით განკურნა...

1 ნაზარეველი. ეპეს გარეშეა ეგ ამბავი, რაღა ოქმა უნდა! მაგას არავინ უარისყოფს!

იროდია. ჰეკუაზე შესცდა ეს ხალხი! დიღხანს შეჰქუაზებდნენ მთვარეს! უბრძანეთ, დაჩუმდნენ!

იროდი. იაირის ქალთან რაღა სასწაული მოახდინა?

1 ნაზარეველი. იაირის ქალი მკვდარი იყო. მან მკვდრეთით აღადგინა!

იროდი. განა მკვდრეთით აღადგენს ის კაცი?



ჯგუფი სტუდენტებისა, დაპატიმრებული არეულობისათვის მესამოცე წლებში.

პირველი რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ. სხედან): 1. კოვალევსკი; 2. ევტუშევსკი, ავტორი მათემათიკის სახელმძღვანელოებისა; 3. იაკობ პეტრეს ძე ისარლიშვილი და 4. გულევიჩი.

მეორე რიგი (სხედან): 1. ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე; 2. ინენერი ალხაზვი; 3. ბესარიონ ღოღობერიძე და 4. გიორგი წერეთელი.

მესამე რიგი (დგანან. მარცხნივ სამი ჯარის-კაცია. მათ შემდეგ): 1. აბელ ჩოლოვაშვილი; 2. „სოვერემენიკის“ თანამშრომელი პილტონევსკი; 3. ფორტუნაროვი; 4. დავით ბესარიონის ძე ღოღობერიძე; 5. ვლ. აპოლ. დუკელევსკი და 6. კირილე ბეჟანის ძე ღოღოთქიანიძე.

1 ნაზარეველი. ხალხმა ნახა, როგორ ესაუბრებოდა ის ანგელოზებს!..

სადუკეველი. არა ანგელოზთ...

1 ნაზარეველი. დიახ, მეფეო, იგი მკვდრებს აცოცხლებს ისევ!...

იროდი. მე არა მსურს! მაგას ნუ ჩაიდენს!... მე ვუკრძალოვ! ნებას არა ვრთავ მკვდრები გააცოცხლოს ხოლმე.

მოიძებნოს ის კაცი და ჩემგან გადაეცეს ბრძანება, რომ მე ვუკრძალავ მას მკვდრების გაცოცხლებას!... ეხლა სად არის?

2 ნაზარეველი. ის ყველგან არის, მეფეო! მაგრამ მისი მონახვა ძნელი არის!

1 ნაზარეველი. ამბობენ, სამარიაში არის ამ უამაღაო. მესია სამარელთა შორის არ მოევლინება ქვეყანას. სამარელი შეჩენებულ არიან. მათ არც მსხვერპლის შეწირვა იციან ტაძარში...

2 ნაზარეველი. მან უკვე რამდენიმე დღის წინად დასტურა სამარია. მგონია, ეხლა იერუსალიმის მიღამოებში უნდა იყოს.

1 ნაზარეველი. არა, იქ არ არის. იერუსალიმიდან ეხლა ხან ამოვნდი. აგერ ორი თვე არის, რაც მისი კვალი აღარ იციან!

იროდი. ეგ სულ ერთია. ის უნდა მოიძებნოს და ჩემი სახელით გადაეცეს მას, რომ ვუკრძალავ მკვდრების აღდგენას. აქციოს წყალი ლვინოდ, განკურნოს კეთროვანნი და უსინათლონი... ამისი ნება აქვს, თუ-კი სურს!... მე წინააღმდეგი არა ვარ მაგისა. პირ-იქით, კეთროვანთა განკურნება—კეთილ საქმედ მიმაჩნია... მაგრამ ნებას არ მივცემ მკვდრების აღდგენისა!... საშინელება იქნებოდა, მკვდრები რომ სამარილიან დგებოდნენ!...

ხმა იოქანაანისა. ა, ქალო მედავო, მრუშო! აჲა! ოქროს თვალებიანო ასულობ ბაბილონისავ!... აი, რას ამბობს ღმერთი! მიუშვით ზედ ბრძო! დაე, ლოდებით ჩაჰელოს ის ქალი ხალხმა!...

იროდი. უბრძანეთ, დააჩუმონ იგი!

ხმა იოქანაან. დაე, შებით განგმირონ მხედართ მთავრებმა! დაე, ფარით გასჭექუნ ეგ დაცი!

იროდი. საზიზორბაა!

ხმა იოქანაან. ასე აღმოვთხვრი უსჯულოებას დედამიწაზე, და იღარც ერთი დიაცი არ წაჰაძიგს მაგის უმგზავსობას!

იროდი. ხომ გესმით, რას ამბობს ჩემზე? თქვენი მეულლის შეურაცხველობის ნებას რთავთ?

იროდი. მაგრამ იმას ხომ თქვენი სახელი არ უხსენებია?

იროდი. მერე არ არის? თქვენც კარგად გესმით, მაგ სიტყვებით მე შეურაცხმულო. მე-კი თქვენი მეუღლე ვარ,— ხომ ასე არის?

იროდი. დიახ, ძეირფასო და ლირსეულო იროდიავ! თქვენ მეუღლე ხართ ჩემი, და წინად ჩემი ძმის მეუღლე იყავით...

იროდი. მისი მკლავიდან თქვენ მომიტაცეთ!

იროდი. ჰო, მე უფრო ძლიერი ვიყავი... მაგრამ დავანებოთ ამას თავი! მე არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ წინასწარმეტყველი საშინელ ამბებს ლაპარაკობდა. შეიძლება, უსაშინელესი უბედურების მიზეზიც ეს იყოს!... ნულა ვილაბარაკებთ ამაზე! კეთილშობილო იროდიავ, ჩვენი სტუმრები გვავიწყდება! დამისხი ლვინო, ჩემი საყვარელო! ღვინით ავსეთ დიდი ვერტბლის და ჭიქის ფიალები! მე კეისრის სადღეგრძელოს ვსვამ! აქ რომაელი არიან, და კეისარის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ!...

უფლანი. კეისარი! კეისარი!

იროდი. ვერა ხედავთ, რა რიგ ფერმკრთალია თქვენი ქალი?

იროდი. რა გენალვლებათ, ფერმკრთალია იგი თუ არა?

იროდი. არასოდეს ასე ფერმკრთალი არ დამინახავს!

იროდი. ნუ უყურებთ იმას!

ხმა იოქანაან. იმ დღეს მზე ძაბაში გაეცევა! მთვარე სისხლივით წითლად შეიღებება... ვარსკვლავები ძირს, მიწაზე ჩამოცვივიან, როგორც ლელვის მწვანე ნაყოფი სცვივა ხოლ-

მე ძირს. და მიწიერ მცველ საშინელება მოევლინებათ!..

იროდი. ა! ა! ნეტავ ვნახო ის დღე, ის რომ ამბობს, როცა მთვარე სისხლივით გაწითლდება, და ვარსკვლავები ძირს ჩამოცვივიან, როგორც ლელვის მწვანე ნაყოფი! მთვრალისავით ლაპარაკობს ის წინასწარმეტყველი!... მისი ხმა ჩემთვის გესლია!... მეზიზღება მისი ხმა უბრძანეთ, დაჩუმდეს!..

იროდი. არა, მე არ მესმის, რას ლაპარაკობს იგი? მაგრამ, შეიძლება, წინასწარმეტყველებაც იყოს ეს!?

იროდი. წინასწარმეტყველება მე არ მწამს. ის მთვრალისავით ლაპარაკობს!...

იროდი. შეიძლება, ლვინით იყოს დამთვრალი!..


იროდი. როგორია ეგ ლვინის ლვინო? რომელი ვენახიდანაა ის? ან რომელ მარანში მოიპოვება იგი?..

იროდი. (საფომეს თვალს ადარ აშარებს) ტიგელინ, არა ფერი გითხრათ კეისარმა თქვენი რომში ყოფნის დროს...

ტიგელინი. რის შესახებ, მეფეო?

იროდი. რის შესახებ?... ა, მე რაღაც გკითხეთ, არა? რა მინდოდა, დამავიწყდა?

იროდი. თქვენ ისევ ჩემ ქალს უყურებთ!? ნუ უყურებთ! აკი გითხარით კიდეც...



ფერერო.

ცნობილი ესპანელი სასოგადო მოღვაწე და რესპექტილი, რემელი 30 სექტემბერს დახვრიტეს.

იროდი. თქვენ მხოლოდ მაგას ამბობთ!

იროდი. და ეხლაც ხელ-ახლად გიმეორებთ!...

იროდი. ბევრს ლაპარაკობენ ეხლა იქ ტაძრის აღდგნაზე? ან რას ლაპარაკობენ? საკურთხეველის ფარდა დაიკარგო, არ ამბობენ?

იროდი. ის შენ თითონ წამოიღე. რას ლაპარაკობ, შენც აღარ გესმის! აქ ყოფნა არ მინდა... დავბრუნდეთ...

იროდი. სალომე, იცეკვეთ ჩემთვის...

იროდი. მე არა მსურს, რომ მან იცეკვოს!

სალომე. სრულებით არ მინდა ეხლა ცეკვა, მმართველო.

იროდი. სალომე, იროდიას ასულო, იცეკვეთ ჩემი გულისათვის.

სალომე. არ ვიცეკვებ, მმართველო!

იროდი. (სიცილით) აი, ასე ასრულებს თქვენ სიტყვას!..


იროდი. რა მენაღვლება, იცეკვებს იგი თუ არა! სულ ერთი არის ჩემთვის დღეს მე ბეღნიერი ვარ, მეტად ბეღნიერი! ასე ბეღნიერი არასოდეს არა ვყოფილვარ...

პირველი მეომარი. მოლუშული სახე აქვს მმართველს. განა სახე-მოლუშული არ არის იგი? ცეცხლის მიზან
მეორე მეომარი. მოლუშულია. წარითა თავის აუ
იროდი. ან რად არ უნდა ვიყო ბედნიერი? კეისარს, ქვეყნიერების მპყრობელს, მბრძანებელს ქვეყნისას, ძლიერ უუფარვარ. ეხლა ხან ძეირთასი საჩუქარი გამომიგზავნა. აღმითქვა, რომში დაიბაროს ჩემი მტერი, კაპადოკის მე-
ფე. შეიძლება, ჯვარს აცვის იგი. კეისარს ნება აქვს, თავის სურვილისამებრ იმოქმედოს. იგი მბრძანებელია! აი, თქვენ ცხელავთ ეხლა, ნება მაქვს ბედნიერიდ ვაღვიარო ჩემი თავი. არარას შეუძლიან მთელ სამყაროზე ჩემი სიხარულის და რღვევა!..

ხმა იოქანანისა. ის ტახტზე იჯდება. მას მეწამული პორფილი ექნება წამოსხმული! ხელთ ეპყრობა ოქროს სა-
ჭურე, სავსე მისივე ლანძლვა-გინებით, და ანგელოზი ლვთი-
სა იმას განგმირავს... მატლით გაიხრწნება მისი ტანი!..

იროდი. ხომ გაიგონეთ, რა სთვა თქვენ შესახებ? მატლები გახრწნიან, — თქვენ შესახება სთქვა.

იროდი. ჩემზე არ ამბობს მაგას. ჩემზე არაფერი ცუდი არ უთქვამს. მაგას, კაპადოკის მეფეზე ამბობს, ჩემ მტერზე, კაპადოკის მეფეზე. მატლები იმას გახრწნიან და არა მე... კა



მიხეილ კიქნაძე.

(იბ. „დროება“ N 225).

ჩემზე მაგას არაფერი ცუდი არ უთქვამს, გარდა იმისა, რომ უსამართლოდ სცნო ჩემი საქციელი, რაღაც ცოლად ჩემი ძმის მეულლე წამოვიყანე. შეიძლება, მართალიც იყოს... თქვენ ხომ უშეილო ხართ?

იროდი. მე უშეილო ვარ? მე?.. მერე თქვენ ამბობთ მაგას? თქვენ, არმელიც განუწყვეტლივ ჩემ ქალს შეჰურებთ! თქვენ, რომელმაც მოინდომეთ თქვენსავე დასატკბობად გეთამაშებინათ იგი?! საცინელია სწორედ!.. მე მყავდა ბავშვი. თქვენ-კი არასოდეს არა გყოლიათ. თქვენის მხევალ-თავანაც-კი... მე-კი არა ვარ უშეილო, თქვენა ხართ!..

იროდი. დაჩუმდით! მე გეუბნებით, უშეილო ხართ-მეთ-
ქი! თქვენ არ გყოლიათ ბავშვი. და წინასწარმეტყველიც ამ-
ბობს, რომ ჩენი შეულლება ნამდევილი არ არისო. ის ამბობს, ჩენი მეულლეობა სისხლის შერევათ და ეს მეულლეობა უბედურებას და გატეხს თავზე!.. ვაი თუ მართალიც იყოს?! მაგრამ ეხლა დრო არ არის მაგ ლაპარაკისა, ეხლა მსუს ბედნიერი ვიყო და მართლაც ბედნიერი ვარ, მეტად ბედნი-
ერი. სრულებით არაფერი არ მაკლია!..

იროდი. ძლიერ მიხარიან, რომ საამო ნეტარებაში ხართ ამ სალამოს. უჩვეველია ეს თქვენთვის. მაგრამ გვიან არის უკვე! დავბრუნდეთ ისევ. ნუ გავიწყდებათ, რომ დი-
ლაზე, მზის ამოსვლისას უველანი სანაღიროდ მივდივართ... კეისრის ელჩებს ხომ ყველაფრით უნდა ვცეთ პატივი!?

მეორე მეომარი. რა რიგ მოლუშულია მმართველი!

პირველი მეომარი. ჰო, მოლუშული სახე აქვს!

იროდი. სალომე, სალომე, ჩემ დასატკბობად ითამაშე! გემუდარებით, ჩემი გულისათვის იცეკვეთ. მოწყენილი ვარ ამ სალამოს. ღიას, ამ სალამოს მოწყენილი ვარ. აქ რომ გა-
მოვდიოდით, სისხლში დამისხლტა ფეხი, — ეს ცუდი ნიშანია. მე გავიგონე... დარწმუნებული ვარ, რომ მესმოდა მაღლა ჰაერ-
ში ფრთების ფრთხიალი, უზარმაზარ ფრთების ფრთხიალი... არ ვიცი, რას უნდა მოასწავებდეს! სევდა დამაშვა დღეს, ამიტომ ჩემს დასატკბობად იცეკვეთ. იცეკვეთ ჩემთვის, სა-
ლომე, გემუდარებით! თუ ჩემთვის იცეკვებთ, მაშინ მომხხ-
ვეთ, რასაც ისურვებთ, და მეც ყველაფერს მოგცემთ. გაშ ითამაშეთ ჩემი გულისთვის, სალომე! ყველაფერს, რასაც მოითხოვთ, მოგცემთ, ჩემი სამეფოს ნახევარიც რომ იყოს...

სალომე. (წამადგება) ყველაფერს მომცემთ, რასაც გთხოვთ, მმართველო?

იროდი. არ ითამაშო, ჩემო ქალო!

იროდი. ყველაფერს, ჩემი სამეფოს ნახევარიც რომ იყოს!..

სალომე. ფიცს მაძლევთ, მმართველო?

იროდი. ფიცს გაძლევ, სალომე!

იროდი. ნუ ითამაშებთ, ჩემო ქალ!

სალომე. რას იფიცავთ, მმართველო?

იროდი. სიცოცხლეს ჩემსა, ჩემს გვირვეინს, ჩემს ღმერ-
თებს ვფიცავ! რასაც-კი ითხოვთ, ყველაფერს მოგცემთ, ჩე-
მი სამეფოს ნახევარიც რომ იყოს! თუ-კი ჩემი გულისთვის იცეკვებთ!? ა, სალომე, სალომე, ითამაშე ჩემს დასატკბო-
ბად!

სალომე. არ დაგვიწყდეთ, მმართველო, რომ და-
ფიცეთ!

იროდი. მე ფიცი დავდე, სალომე!..

სალომე. ყველაფერი, რასაც-კი მოგთხოვთ, თქვენი სა-
მეფოს ნახევარიც რომ იყოს?

იროდი. ნუ ითამაშებ, ჩემო ქალ!

იროდი. ჩემი სამეფოს ნახევარიც რომ იყოს! შენ დე-
დოფალი იქნები, მშვენიერი სალომე, თუ ჩემ სამეფოს ნა-
ხევარს მომხხოვ! განა მშვენიერი დედოფალი არ იქნება!.. აქ ცივა!.. ცივი ქარი ჰქინის და ისევ.. მაგრამ რად მესმის ჰაერში ისევ იმ ფრთების ფრთხიალი?! ა, თითქო რაღაც ფრინველი, დიდი, ზავი ფრინველი, დასტრიალებს თავს ამ ტერასას. რატომ ვერა ვერავ იმ ფრინველს? საშინელია მი-
სი ფრთების შრიალი! ამ ფრთების მოქნევით გამოწვეული ქარი საშინელია. ცივი, მათგრი ქარია.. მაგრამ არა, სრუ-
ლებითაც არა ცივა! პირ-იქით, მეტი-მეტად ცხელა, ცხე-
ლა.. სუნთქვა მეკვრის. წყალი დამისხით ხელებზე!.. თოვ-
ლი მომეცით გასაგრილებლად! გამისხსნით მანტია! ჩქარა,
ჩქარა მანტია გამისხსნით! არა... დაანებეთ თავი! ეს ჩემი გვირ-
გვინი მამწარებს ასე, ვარდის გვირგვინი მმატებს წყლულს...
თითქო ცეცხლისა ყვაილებით... შუბლი დამიწვევ!.. (თა-
ვიდან გვირგვინს მოიგდეს და მაგიდზე გადატენის). აპა,
ძლიერ ამოვით ქვი სული! რა რიგ წითელია ეს ფოთელი, თი-
თქო თეთრ სუფრაზე დანთხეული სისხლის წვეთია. მაგრამ
არაფერია... არ შეიძლება, ყველაფერში მომასწავლებელ
ნიშნების ძებნა! მაშინ ცხოვრება სრულიად შეუძლებელი შე-
იქმნება. უკეთესია ისა ვთქვათ, რომ სისხლის წვეთი ისევ
მშვენიერია, როგორც ფოთელი ვარდისა. გაცილებით უკე-
თესი იქნებოდა, ეს ვთქვა... მაგრამ დაგნებოთ თავი. ეს

ლა ბედნიერი ვარ, ძლიერ ბედნიერი! მე ნება მაქვს, ბედნიერებში ვაღვიარო ჩემი თავი. ხომ მართალია? თქვენი ასული ჩემთვის ითამაშებს! ხომ მართალია, სალომე? ჩემს გასართობად იცმივებთ? აკი აღმითქვით, ვიცეკვებო...

იროდია. მე არ მსურს, რომ მან ითამაშოს!

სალომე. თქვენი გულის-თვის ვიცეკვებ, მმართველო!

იროდი. ხომ გაიგონეთ, რა სთქვა თქვენმა ასულმა? ჩემთვის იცმივებს! ოხ, რა რიგ სასიამოვნოა, რომ ჩემთვის თამაშობთ! სალომე! და როცა თამაშს მორჩილით, არ დაივიწყოთ—რაც გსურთ, მომთხოვთ, უველაფერი, რაც მოისურვოთ. მოგცემთ, მოგცემთ, სალომე, ჩემი სამეფოს ნახევარიც რომ იყოს... ხომ ფიციც დავდე...

სალომე. თქვენ დაიფიცეთ უკვე, მმართველო!

იროდი. ჩემი ფიცი არასოდეს არ გამიტებია. მე ის არა ვარ, ფიცის რომ აღვილად ჰლატობს ხოლმე. სიცრუე არ მიყვარს... მე მონა ვარ ჩემის სიტყვისა, ხოლო ჩემი სიტყვა—მეფური სიტყვა! კაპალოკის მეფე სკრუობს უკველთვის; მაგრამ ის ვანა ჭეშმარიტი მეფე? ის ლახარია! ჩემი ვალიც ჰმართებს იმას, მაგრამ გადახდის აღარ აპირებს... გულის-ამამღვრეველს ამბებს სთხიავს იგი... მაგრამ კეისარი აცვამს ჯვარს, როცა იგი რომში დაბრუნდება. დარწმუნებული ვარ, კეისარი ჯვარზე გაკრავს! და ესეც რომ არ მოხდეს, მაინც მოკვდება, მატლით გახრწილი წინასწარმეტყველმა სთქვა ესა! მაშ, სალომე, რაღას ელით?

სალომე. ჩემ მთაბლებს. კეთილსუნნელება და შვიდი ჩადრი უნდა მომგვარონ და ეს სანდალიებიც გამაძრონ ფეხთით! (მხევლებს შემთაქვთ კეთილ-სუნნელება, შეიდი ჩადრი და საჭამეს ფეხთ ხდიან).

იროდი. ა! ფეხშიშველი აპირებ ცეკვას? ძლიერ კარგია, კარგია ძლიერ!.. თქვენი პატია ფეხები მტრედებს და-ემბავსებიან... პატარა, თეთრ ყვავილებს ჰგვანან, აგრე ხეზე რომ ერთმანეთს ელამუნებიან. ოხ, არა, სისხლზე უნდა იცმივოს ვანა? მიწაზე სისხლია დანთხეული. მე არა მსურს, რომ სისხლში იცმივოს... ეს ცუდი ნიშანი იქნება...

იროდია. რა გესაქმებათ, სისხლში იცმივოს! ვანა თქვენ ცისხლში არ დადიხართ? თქვენ...

იროდი. რა მესაქმება? ახ, შეხედეთ მთვარეს! იგი გაწილდა, გაწილდა, ვით სისხლი! ვანა, წინასწარმეტყველმა არა სთქვა ესა: „მთვარე სისხლივით წილად შეიღებებაო!“ ვანა, მართალი არ არის? ვანა მან არ იწინასწარმეტყველა ეს? თქვენ ყველამ გაიგონეთ ეს სიტყვები! მთვარე სისხლივით გაწილდა, ვერა ხედავთ?

იროდია. ვხედავ, ვხედავ... ვარსკვლავებიც ძირს ეცემიან ლევის მწვანე ნაყოფისაცით. ხომ ასეა? მზეც ძაძით შეიმოსა და მიწის მეფენი შიშმა მოიცა. ეს მაინც მართალია. მთელ სიცოცხლეში ერთხელ მაინც მართალი სთქვა იმ კაცმა... მიწის მეფენი შიშმა შეიძყრო... მაგრამ დაგბრუნდეთ. თქვენ ავადა ხართ... რომში იფიქრებენ, რომ თქვენ შეშლილი ხართ... გეუბნებით, დაგბრუნდეთ!

ხმა იოქანან. ვინ არის ის, რომელიც ედომიდან მო-

დის; რომელიც მოდის ბოსრიდან წითელს, მეწამულს სამოსელში, გაბრწყინვებული თავის სამკაულის მშვენიერებით და ძალთა სიღიადით? რად შეღებილა ალის ფრად სამოსელი თქვენი?

იროდია. დაგბრუნდეთ!

ამ კაცის ხმას მოთმინებიდან გამოვყენარ. მე არა მსურს, რომ ჩემმა ქალმა იცმივოს, სანამ ის კაცი იქიდან ყვირის! არა მსურს, რომ იცმივოს, სანამ თქვენ ასე შეჰყურებთ ასულს!.. ერთის სიტყვით, არა მსურს, რომ მან იცმივოს...

იროდი. ნუ წამოდგები აქედან, მეუღლევ ჩემო, დედოუალო ჩემო! ეგ უნაყოფო იქნება! არ წამოვალ, ვიღე არ იცმივებს... იცმივეთ, სალომე, იცმივეთ ჩემს დასატკბობად!..

იროდია. ნუ იცმივებთ, ჩემო ქალო!..

სალომე. მე უკვე მზად ვარ, მმართველო! (სალომე „შეიდ ჩადრია“ ცეკვას შეასრულებს).

იროდი. აჲ, საუცხოვოა! მშვენიერია! ხომ დაინახეთ, ჩემს დასატკბობად თქვენმა ასულმა იცმივა! მომიახლოვდი, სალომე! ხალო მოდექით, რომ შეეძლო თქვენი დაჯილდოვება! ო-ოჲ, მოცეკვავე ქალებს უხვად ვაჯილდოვებ ხოლმე!

შენც უხვად დაგაჯილდოვებ!.. ყველაფერს მოგცემ, რასაც ისურვებ!.. მითხარი, რა გსურს?

სალომე. (დაიხაქებს) მინდა, ეხლავე მომიტანონ ვერცლისა სინით...

იროდი. (სიცილით) ვერცლის სინით?.. ჰო, რაღა თქმა უნდა, ვერცლისა სინით... თვალ-წარმტაცია, ხომ მართალია? მაშ რა გსურთ, რომ ვერცლის სინით მოგართვან, ძვირფასო და კეკლუცი სალომე, ურიასტანის ქალებში უუმშვენიერესო? რა მოგართვან ვერცლის სინით? მითხარით! რაც უნდა იყოს, მოგიტანე მაინც! ჩემი საუნჯე თქვენ გეკუთხნით!.. მაშ რა არის ის, სალომე?

სალომე. (წამოდგება) თავი იოქანაანისა!

იროდია. აჲა! მშვენიერი სიტყვაა, ასულო ჩემო!

იროდი. არა, არა!

იროდია. მშვენიერი პასუხია, ასულო ჩემო!

იროდი. არა, არა, სალომე! თქვენ მაგას არ მომთხოვთ! ურს ნუ დაუგდებთ დედა თქვენს: ის ყოველთვის ურიგოდ გირჩევთ ხოლმე!

სალომე. მე დედას არ ვუგდებ ურს! ჩემ სასიამოვნოდ გთხოვთ იოქანაანის თავს ვერცლის სინით! თქვენ ფიცი დასდეთ, იროდ! არ დაივიტყოთ თქვენი ფიცი!

იროდი. ვიცი. ჩემი ღმერთები დავითიც. ეს კარგიდ ვიცი! მაგრამ გემუდარებით, სალომე, მომთხოვთ სხვა რამე! ჩემი სამეფოს ნახევარი მომთხოვთ,— მე გაჩუქებთ იმას! მაგრამ ნული მომთხოვთ იმას, რასაც ეხლა მთხოვთ!!

სალომე. მე გთხოვთ იოქანაანის თავს!

იროდი. არა, არა, მე არა მსურს!

სალომე. თქვენ ფიცი დასდეთ, იროდ!

3. დადგაძე.

(დასასრული იქნება)

